№ 93 14 მაისი, კვირა 1866—1878 14 მაისი, კვირა № 93

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. В. редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ვენა,** 12 მაისს. რუსის სამხედრო აგენტი ბობრიკოვი გამოიხმეს სერბიიდამ პეტერბურღში იმ განზრახვით, რომ შეიტყონ იმისაგან—თუ რა მდგომარეობაშია სერბიის არმია.

ადრიანოპოლიდამ მუდამ დიდძალი ჯარი მოდის სან-სტეფანოში; ამ ჯარს აყენებენ შავსა და მარმარილოს ზღვებს შუა რუსის პოზიციების გასამაგრებლად.

**ლონდონი,** 12 მაისს. საზოგადოებათა პალატამ 367 ხმის უმეტესობით 226 ხმაზე უარ-ჰყო გარტინგტონის წინადადება სამინისტროს წინაალმდეგ.

## საქართველო

### ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებზე

პირველი და უმთავრესი ჰაზრი ყველა საადგილ-მამულო ბანკებისა ის არის, რომ სოფლის ხალხს, მემამულეებს, მეურნეობას მოუმართოს ხელი.

ვაჭრებისათვის, ქალაქის მცხოვრებთათვის სხვა-გვარი ბანკებია მოგონილი: სავაჭრო, ურთი-ერთ ნდობისა და სხვ. და სხვ., რომელთაც მიზანი სხვა აქვთ და ამის-და-გვარად წესდებაც სხვა არის.

საქართველოს ხალხი ისტორიულად მიმდევარია მეურნეობისა. თავიდამვე ქართველების იმედი, ნუგეში, მარჩენელი და მაცოცხლებელი იყო და არის მიწა, მამული.

საუბედუროთ, მიწის მუშაობის საქმე ჩვენში დღემდინ ერთობ მძიმედ მიდის, ერთობ ძველებურად, მამა-პაპურად; ქართველ მემამულეს იმის მეათედი სარგებლობაც ვერ შეუძლიან თავის მდიდარის მიწა-წყლისაგან, რის შეძენაც შეეძლება და რასაც სხვაგან, განათლებულსა და მეურნეობის მცოდნე ხალხები იძენენ.

აი ამ ნაკლულევანების შესავსებელად იყო დაარსებული ჩვენში თფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკები. იმათი დანიშნულება იყო და არის, რომ ფულით ხელი მოუმართოს იმ მემამულეთ, რომელნიც ცდილობენ თავიანთ მიწიდგან მომეტებული სარგებლობის გამოტანას, რომელთაც ჰსურსთ, რომ გონივრული მეურნეობა შემოიღონ; ერთი სიტყვით, ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები იმისთვის იყვნენ დაარსებულნი, რომ წინ წასწიონ, წარმატებაში შეიყვანონ ჩვენში მეურნეობის საქმე და ამის გამო წარმატება მისცენ აგრეთვე ჩვენს ხალხს, რომლის თითქმის ერთად-ერთი, ისტორიული ხელობა არის მეურნეობა, მაწის შემუშავება.

ასრულებენ ეს ბანკები ამ თავიანთ დანიშნულებას?

რამდენიმე წლის განმავალობაში ჩვენი ბანკების არსებობა და მოქმედება ყველას ცხადათ არწმუნებს, საუბედუროთ, რომ ამ დანიშნულებას ხსენებული ბანკები ვერ ასრულებენ.

საკმაოა ერთი უბრალო გარემოება მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებლად იმათთვის, ვისაც ეს არა: საკმაოა ვთქვათ მხოლოთ ის, რომ ორივე ბანკებიდამ, იმ ბანკებიდამ, რომელნიც მემამულეების ფულებით არიან დაარსებულნი და რომელთაც მემამულეებისთვის უნდა მოეწყოთ ყველაზე პირველად ხელი, ამ ბანკებიდამ დღემდინ ორი მესამედი ფული—სესხი, თუ მეტი არა, ვაჭრებმა, სახლების პატრონებმა და სხვა ამ გვარ პირებმა გაიტანეს და დანარჩენი ერთი მესამე კი იმ პირთა, რომელთათვის ეს ბანკები იყვნენ და არიან დაარსებულნი.

ამ ნაირად ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებისაგან ისეთმა პირებმა ისარგებლეს, რომელთაც ამ ბანკების დაარსებისათვის ერთი გროში არ შეუწირავთ და ნამდვილი მეპატრონენი კი ბანკების თანხისა თითქმის, როგორც ამბობენ, რიყეზედ დარჩნენ.

ჩვენ არაფერს ვამბობთ მიზეზზე—თუ ვის ანუ რას უნდა მიეწეროს ამ გვარი შეუსაბამო მიმართულება ჩვენი ბანკების საქმისა.

ჩვენი განზრახვა მხოლოთ ის არის, რომ ამ სამწუხარო გარემოებაზედ საზოგადოების, ბანკის დამაარსებლების ყურადღება მივაქციოთ;—იქნება ერთი რამ წამალი, ერთი რომელიმე სახსარი აღმოჩნდეს ისეთი, რომ ბანკები და იმის ფული მარტო „სახელით" არ იყოს საქართველოს თავად-აზნაურობისა და საზოგადოთ მემამულეებისა და „სახრავი" კი სხვისი იყოს.

ს. მ.

---

### დღიური

*** „დროების" მე-91 ნომერში მოყვანილი იყო ქალაქის რჩევის გად-წყვეტილება შესახებ სასაფლაოების ქალაქის წრეს გარეთ (ნავთლუღის მინდორზე) გადატანისა. ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა მაშინ, რომ ქალაქის ყველა სასაფლაოები ერთის წლის შემდეგ იქნებიან მოსპობილნი და ვერის სასაფლაოზე კი ამ ერთის თვის შემდეგ აღკრძალული იქნება მიცვალებულების დასაფლავება. მალაკნებისთვისაც ცალკე სასაფლაო ადგილი ნავთლუღში.

*** ჩვენმა უმაღლეს მთავრობამ დაამტკიცა უფ. თფილისის მთავარ-პოლიციმეისტრისაგან შედგენილი პროექტი თფილისის პოლიციის შესახებ. ამ პროექტის ძალით, უმცროსი პოლიციმეისტრების თანამდებობა გაუქმებული იქნება, მაგიერად დაინიშნება ერთი თანაშემწე მთავარ-პოლიციმეისტრისა; ქალაქი ათ საპრისტაოდ იქნება გაყოფილი და თითოეულში ცალკე პრისტავს დანიშნავენ.

*** გაზეთი „ობზორი" გვაცნობებს, რომ ჩვენს მთავრობას განზრახვა აქვს ბათუმისაკენ რკინის გზა გაიყვანოს; ეს გზა ფოთი-თფილისის რკინის გზის სამტრედიის სტანციიდამ დაიწყებაო. თუ რა გზით და როგორ უნდა გავიდეს ეს გზა—ამის გამოსაკვლეველად მთავრობას ინჟინერები დაუნიშნავს, რომელნიც ამ მაისიდამ უნდა შეუდგნენ საქმეს.

*** კახეთიდამ გვწერენ, რომ თელავის უეზდში ამ უკანასკნელ დროს რაღაც მუცლის ტკივილი გაჩენილა, ხოლერასავით; ხალხს ძალიან აწვალებს, მაგრამ სიკვდილით კი ამ ავათმყოფობისაგან იშვიათად კვდებიანო.

** ქვემო-იმერეთიდამაც შეუწყვეტელ წვიმებს იწერებიან, და ამის გამო სოფლის მუშაობას დიდი დაბრკოლება აქვსო.

** მომავალ ორშაბათს, 15 მაისს, ქალაქის რჩევაში შემდეგ საგნებზე იქნება სჯა:

გამგეობისაგან წარმოდგენილი ანგარიში 1877 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავალისა;

მოხსენება გამგეობისა პირუტყვის სალავი ადგილის თაობაზედ;

განცხადება ხმოვანის ელიმირზოევისა ქალაქის გასუფთავების შესახებ;

განცხადება ხმ. სურგუნოვისა ქალაქის ქუჩების განათებაზედ;

მოხსენება გამგეობისა ხმ. ელიმირზოევის წინადადების შესახებ, რომ ქალაქის სამმართველოსთვის დანიშნული შტატი შემცირებული იქმნეს;

განცხადება ხმოვანის ექიმის ვართანოვისა იმ ზომებზე, რომელნიც ქალაქის კეთილ-განწყობილებისათვის საჭირონი არიან და სხვ. და სხვ.

ამ სიაში მოხსენებულ ზოგიერთ საგნების განსახილველად ხმოვანნი ხუთჯერ ყოფილან მოწვეულნი; მაგრამ, რადგან საკმაო რიცხვი არ შეკრებილა, ამის გამო ვერ განუხილავთ.

** ჩვენ შევიტყეთ, რომ გაზეთის „თფილისის მოამბის“ რედაქტორი თ. ქ. ა. ბებუთოვი ამ დღეებში წასულა პეტერბურღში; მიზანი ამის წასვლისა, როგორც გვითხრეს, ის არის, რომ დაესწროს იქ იმ დროს, როდესაც სენატში გაარჩევენ იმის საქმეს თფილისის ქალაქის საავათმყოფოსაგან დაწყებულს.

** ქუთაისადამვე გვწერენ, რომ იქაური ქართული სცენის მოყვარენი მომავალ ორშაბათს, 15 მაისს, ოსტროვსკის კომედიის „შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ი ს ა დ გ ი ლ ი ს“ წარმოდგენას აპირებენ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქუთაისი**, 11 მაისს. 9 მაისს წარმოდგა სომხების თაოსნობით და მონაწილეობის მიღებით აგრეთვე ქართველთაგანაც უფ. სუნდუკიანცის სამ-მოქმედებიანი და ექვს-სურათიანი კომედია „ხ ა თ ა ბ ა ლ ა“, რომელიც ამ წარმოდგენაზედ ოთხ მოქმედებათ გაყვეს.

მართლაც რომ ხათაბალა რამ არის ამ „ხათაბალის“ სცენაზე წარმოდგენა, რადგან ძრიელ ძნელს დეკორაციას თხოულობს. ვგონებ დალოცვილს სუნდუკიანცს ეს კომედია უმეტეს მისთვის შეუთხზავს, რომ დეკორატორს სრულიბდ თავის ხელობა გამოაჩენინოს. ჰაი, სწევენ იქით-აქეთ კულისებს, სდგამენ უცბათ ბაღს ანუ მეორე ოთახს, სადაც შემოაქვთ სკამები, სტოლები და ჰკიდებენ ფარდებს და სხვ.

ერთის სიტყვით, პუბლიკის ყურადღებას სცენის ტრიალი უფრო იზიდავს, ვიდრე ახალგაზდა სწავლული გიორგი, რომელსაც ახალს და კეთილს აზრებში კიდევაც გადააჭობებს ზამბახოვის მოსამსახურე ბიჭი სარქისა.

რომ მცოდნებოდა წინ-და-წინ, რომ ეს სპეკტაკლი ამ რიგად წავიდოდა, ვიშოვნიდი ბამბას და, ყურებს დავიცობდი რომ არაფერი გამეგონა, და ვისიამოვნებდი მხოლოდ მშვენიერად მოხერხებული დეკორაციის ცქერით.

თუმცა მე თვალების დახუჭვაც დამსჭირდებოდა, როცა შევხედავდი ნ. მელიკ-რაფაელიანცს ვარდის-ფერ ლოყებიან ყმაწვილ ქალათ გამოსულს ქეთევანის როლში; მაგრამ მაგიერათ გახელილ თვალებთან ყურებსაც ავიხსნიდი ბარხუდარიანცის გამოსვლაზედ, რომელმაც ზამბახოვის როლი უნაკლულოდ აღასრულა. თქვენ წინ იდგა ნამდვილი მდიდარი მოხუცებული კაცი, დახელოვნებული სხვა-და-სხვა მოტყუილებაში. ა. მრევლოვისა გამოდიოდა მარგალიტას და ხამფერას როლებში. იმას ცოტად ემჩნეოდა, რომ როლები კარგათ არ იცოდა, თუმცა ხამფერას როლი საკმაოდ კარგა შეასრულა; არც მარგალიტას როლი აუსრულებია ცუდათ რომ არ გასცინებოდა მაღალ ქუსლებიანი ბათინკების ხელში დაჭერაზედ; მაგრამ ამაში ა. მრევლოვისას ვამართლებ, რადგან პირველათ ნ. რაფაელიანცმა აიტეხა სიცილი, როდესაც ის ნატალიას როლში აძლევდა იმას ამ ბათინკებს. სწორი მოგახსენოთ, თუმცა ნ. რაფაელიანცმა პირველ მოქმედებაში კარგათ აღასრულა ნატალიას როლი, მაგრამ წაახდინა ესევ როლი უკანასკნელ მოქმედებაებში და სულ ცუდათ წარმოადგინა ქეთევანის როლი: იჯდა სცენაზედ ახალგაზდა ქალი, რომელიც უძახოდა შვილოს შეხედვით მაზედ ხნიერ კაცს.

იაის როლი აასრულა უ. მარდიშვილმა, რომელიც არ იზამს ცუდს, რომ მხოლოდ თავისი გვარის შესაფერ როლებს აიღებდეს. უ. მარდიშვილი იაიას როლში ფხუკურა იმერელს უფრო ჰკავდა, ვიდრე ვაჭარ სომეხს.

ან. ქ—ძემ ვერ შეასრულა გიორგის

# ფელტონი

## ახალციხური ფელტონი

მადლობა ღმერთს, მაისი დაგვიდგა, ვარდობის თვე! მაგრამ ცის მობუდნევა და საზოგადოდ მცივანე ჰაერი თავისას არ იშლის. აპრილმა მარტს ბევრით გადააჭარბა; მაგრამ მაინც უცხოდ აღგვიმწვანდა მთა, ბარი, ტყე, ღრე, ხილნარი, ხევანი, ყანა და ჭალა პირუტყვთ, მფრინველთ, მწერთ და ქვემძრომთ სასიხარულოდ....

კაცთა?.. რატომ, ყველა კაცსაც დროებისა და თავის მდგომარეობის-და-გვარად აჩნია პირად სიხარული, და გულისა ვინ იცის?... ვის შეუძლიან ყველა კაცის გულის ხვაშიადის ზედმიწევნით ახსნა-გამოცნობა?... ამბობენ მეცნიერნი: როგორც ქვეყნის თვითოეული კაცის სახე გარჩეულია ფორმით, ფერით, ტანითა, ისე ნაირ-ნაირის ყოფაქცევით სხვა-და-სხვა რიგად დაშორებულ არიან ერთ-ერთისაგანო!..

დილიდგან საღამომდის ახალ ამბების კითხვაში და ათასნაირს სჯაში ვართ. ამდენი გულისა და პირის უთანხმოება მხოლოდ სან-სტეფანოს მორიგების იმ ერთს მუხლზედ საკვირველად თანხმდება, რომლითაც ეძლევა რუსეთს ბათუმი მისი მიმყოლის საზღვრებითა აზრუმამდის!

აქაურები ახლავე უკვე ამზადებენ ახალციხეს გუბერნიად! ძველ-ქალაქს ზომენ, სჭრიან ნებისად, სამოველასკან მიყოლებული ერთ ვერსის სიშორეზედ ილიტამდის გარდააქვსთ ქალაქის შენობაები თავიანთ შინაურულის პლანითა!.. მართლაც, ისეთი წმინდა ჰაერი და მარჯვე მდებარეობა აქვს გაღმა-გამოღმით ამ მხარესა, რომ ურიგო არ იქნება ამ სასარგებლო მოაზრებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს მთავრობა გაშენებისათვის!..

სან-სტეფანოს მორიგების ის ერთი მუხლი არა თუ მარტო ზედ-მოქმედობს განსაკუთრებით ჩვენებურებზედ, არამედ სამზღვარგარეთელებზედაცა პირველში დიდი გავლენა მიიღო, მეტადრე ზემო-აჭარას ხიმშიაშვილს შერიფ-ბეგზე, რომელიც ამ ცოტახანში გარდმოვიდა ჩვენკენ.

ამ ხიმშიაშვილს შერიფ-ბეგს ბევრნაირად დავალიანებული ჰყავს ჩვენი მხარე სიკეთით, ადრითგანვე; მაგრამ უფრო შარმანდელს აქეთ: ყოველ მხარეს ტაცვა, გლეჯა, კაცის-კვლა გამრავლებული იყო და ჩვენში კი, ერთ-ორ შემთხვევას გარდა, წიწილი არ აფრენილა!

აჭარის პირში ომიანობა და ამნაირი სასწაული ვინ დაიჯერებდა! მაგრამ ღმერთმა უშველოს კარგს მოთავესა!... ამისთვის, რა ახალციხეში მოვიდა ხსენებული შერიფ-ბეგი, დღემდის დღე ერთია და ვიზიტზედ მიმსვლელ-მომსვლელი არ არის! ამას მიემატა უ. მიხაილ პ. მეფისოვის მოსვლაცა, რომლის ოჯახშიც ჩიმომხდარიყო და განწყობილ არიან მამა-პაპით მეგობრულად.

ამ თვის 5, კათოლიკის მღვდლებიც იყვნენ მისულნი სანახავად. ერთმან მე-

როლი ისე, როგორც მოველოდით; ხანდისხან ვითომ გამოაკეთებდა, მაგრამ მისთანა ალაგას დაიწყებდა რაღაც გულგრილათ ლაპარაკს, რომ ნამდვილათ ეტყობოდა როლში შეუსვლელობა. ამ მიზეზის გამო სრულებით დაიკარგა მხოლოდ ერთად-ერთი საუკეთესო სცენა მთელს კომედიაში, სადაც გიორგი მარგალიტის დანიშვნის უარს ამბობს, რადგან იცნო, რომ ის არ არის მისგან ნახული ქალი.

მშვენიერათ აასრულა უ. ვ. იურკევიჩმა სარქისას როლი.

ანგარიშს, ცნობაში მოყვანის შემდეგ, იმედია, წარმოადგენენ მოთავეები.

მაყურებელთ განი

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

ბელგიურს გაზეთში დაბეჭდილია 3-ს მაისს ვენიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ აქ მუდამ დღე მინისტრები იკრიბებიან, აღმოსავლეთის საქმეებზედა აქვთ სჯაო და, როგორც ისმის, მომეტებული ნაწილი ავსტრო-ვენგრიის მინისტრებისა იმ ჰაზრისანი არიანო, რომ, თუ ომი ატყდა, ავსტრიამ პირ-და-პირ ინგლისის მხარე უნდა დაიჭიროსო.

ამავე დეპეშის სიტყვით, ინგლისმა ხელახლად დაიწყო ახლა მეცადინეობა, რომ ავსტრო-ვენგრიასთან კავშირი შეჰკრას.

—

რუსულს გაზეთებში დაბეჭდილია თფილისიდამ მიღებული დეპეშა, რომ კავკასიის არმიის შტაბის უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი ტომილინი საჩქაროთ წავიდა ბათუმშიო; იმას დერვიშ-ფაშასთან წიგნი მიაქვსო.

—

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში" იწერებიან თფილისიდამ:

„კავკასიის არმია ოთხ კორპუსად იქნება გაყოფილი: რიონის, ყარსის, ერევნის და არტაანის კორპუსებად. თითოეულ კორპუსში იქნება: ორი ქვეითა დივიზია, 8 ესკადრონი რეგულიარული ცხენოსანი ჯარი, 5 ირრეგულიარული და 6 ბატარეია (თითო ბატარეიაში 8 ზარბაზანი). რიონისა და არტაანის კორპუსის უფროსებად დანიშნული იქნებიან ღენერლები ალხაზოვი და კომაროვი.

„ღენ. კომაროვს ბრძანება მოუვიდა, რომ არტვინი დაიჭიროს"

—

ამავე გაზეთის სიტყვით, დიდ მთავარს კავკასიის არმიის მთავარ-სარდალს 15 ს მაისისთვის მოელიან თფილისში; მოსვლისა-თანავე დიდი მთავარი ნახავს ციხის-ძირში დერვიშ-ფაშას და მოსთხოვს იმას, რომ, სან-სტეფანოს მორიგების თანახმად, დაუთმოს რუსებს ბათუმი.

# სამართალი

## იოანე ნათლის-მცემლის მონასტრიდამ ძვირფასი ნივთების დაკარგვის საქმე

თფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ამ დღეებში საქმე, რომელიც ზევით მოვიხსენეთ. ამ საქმის გარემოება ასე აღმოჩნდა სასამართლოში:

1871 წელსა მღვდლის შვილმა ივანე ბერძენოვმა მისცა ქაღალდი საქართველოს ეგზარხს მესევის, რომ როდესაც ის იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოს მონასტრის მნათედ იყო, არხიმანდრიტ მაკარიმ წაიღო ამ მონასტრიდამ სხვა-და-სხვა ოქროს, ვერცხლის [illegible], ძვირფასი თვლები მიტრიდამ [illegible] ძველი წიგნები და ყველა ეს ნივთები გაუგზავნა თფილისში თავის დას ნინოსაო.

კანტორამ ამ საქმის გამძიება მიანდო ეპისკოპოსს ალექსანდრეს, დავით-გარეჯის მონასტრის არხიმანდრიტს სოფრონის და სიონის სობოროს პროტოიერეის ბასხაროვს, ამათ დახედეს ხსენებული მონასტრის სამკაული და დარწმუნდნენ, რომ ყველა ნივთები მთლად და ხელუხლებლად იყო, გარდა ერთის წიგნის ანტონ კათოლიკოსის ღვთისმეტყველებისა, რომელიც ვიღასაც წაეღო და ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც, არხიმანდრიტ მაკარის სიტყვით, ივ. ბერძენოვს წაეღო და აღარ მოეტანა.

ამის გამო კანტორამ საჩივარი ბერძენოვისა უყურადღებოდ დააგდო.

ახლა არხიმანდრიტ მაკარმა შეიტანა ბერძენოვზედ საჩივარი ცილის-წამებისათვის.

გამოძიების დროს, ივ. ბერძენოვმა არ აღიარა თავისი თავი დამნაშავედ; იმან სთქვა, რომ რიგიანათ არ შეუმოწმებიათ ძველი ქართული სიით მონასტრის ნივთები, თორემ დარწმუნდებოდნენო, რომ მონასტერს ბევრი რამ ძვირფასი ნივთი აკლიაო; სხვათა შორის აღარ არისო: ბრილიანტის ჯვარი, რომელიც ღვთისმშობლის ხატსა ჰქონდაო, არქიერის მიტრას ბევრი ძვირფასი ქვა აკლიაო, აღარ არის ვერცხლის თეფშები და სხვ. და სხვ. და ყველა ეს არხიმანდრიტმა მაკარიმ დაისაკუთრაო.

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ აჩვენა, რომ ის და არხიმანდრიტი სოფრონი ჰკითხულობდნენ სიას და ბასხაროვი კი ნივთებს სინჯავდა, სრულად არის თუ არაო. მე მაინცა-და-მაინც ბეჯითად არ დამითვალიერებია ყველა ნივთები, რადგან დრო არა მქონდაო და კანტორის მოწერილობაშიაც არ იყო მოხსენე-

---

სხურის სიტყვით პატივი სცა კიდეც, რომელსაც აქ მოვიყვან:

„თქვენო ბრწყინვალებავ!

„მშვიდობით თქვენი მობრძანება, აჭარის ბატონო უ. შარიფ-ბეგო!

„დიდად ბედნიერი ვარ მე დღეს, რომ ვხედამ თქვენს ბრწყინვალებას თქვენს მოძმე-მოყვარეებში! მამულის სიყვარული და დიდი სიხარული ერთმანერთს ებრძობიან, ცნობა, გონიერება მოწმად ახლავან და მსჯელი სინიდისი წინა უძღვიან!...

„თქვენ ჩვენის ქვეყნისა დასავლეთიდგან აღმოიჭვირვეთ და სიბრწყინვალით მრთლად გაგვინათლეთ საათაბაგოს ქალაქი ახალციხე! მით სამხედრონი, მთავარ-თავადნი, აზნაურები, ბეგ-აღალარნი, მოქალაქენი მღვდლითა, ერითა დიდ აღტაცებით პატივსა გცემენ!...

„დიდის ქების ღირსი ხართ, დიდის დიდებისა და აღმატებულებისა; ასრე რომ, რა იხილა თავის უაღგვისტესობის შორს-მხედველობითა რუსის ხელმწიფე იმპერატორმან თქვენი კეთილ-ღტოლვილება ნამდვილ პატრიოტობისადმი ჯეროვნად შერაცხა თქვენი დაჯილდოვება მაღალის ხარისხითა და გიბოძათ საფერ-აკადრისის ულუფითურთ გენერალ-მაიორობა! მომილოცავს, კეთილ ბედნიერ იყოს თქვენთვის ეგრეთი ღირსება, ეგრეთი იშვიათი დაჯილდოება და აღმაღლება! ინებოს ღმერთმან მარად ჟამს თქვენთვის კეთილი დღეგრძელობა!

„თქვენის კეთილის მაგალითით უეჭველად მოველით დიდის ხნის მოლმა ჩვენგან დაშორებულთ რიცხვით ბევრ ათასთ ჩვენს თანამოძმეთ შეერთებასა! აქამდის რაც გავსძელით უმათოდ, ისიც კმარა: სალი კლდე ვიყავით და ალმასის გულები გვქონდა, რომ სულგრძელებით ვითმენდით დღემდის მათთან განშორებასა!"

„ახლა კი დრო არის გამოღვიძებისა ბუნების მიმყრუვებელის ღრმა ძილისაგან; თვალი გამოვახილოთ, აღვსდგეთ და კეთილ განწყობილებით ხელი-ხელს მივცეთ მამულის წარსამატებლად!

„ნუ ჩავაროვინებთ უქმად ჩვენს გმირთა-გმირთ წინაპართ შრომისა; მორწყულია ჩვენი ქვეყანა ერთიან იმათი ძვირფასის სისხლითა! ამდენი ურიცხვნი, მათგან ნაშთნი, ციხე-კოშკნი, ტაძარნი ჩვენ გვიყურებენ და მოელიან ჩვენგან ადრინდელ თავიანთ ნანახს კეთილდღეობასა!..

„მაშ იმეფოს ამას იქით ჩვენში განუყრელმან სიყვარულმან, სიმართლემ და ერთ-მოქმედებამან!... ვთხოვ ღრმა სიმდაბლით ყოვლის-მპყრობელს ღმერთსა, იყოს თქვენ ჩვენი შემწე, მფარველი და წინამძღვარი ყოველს თქვენს, ჩვენს კეთილ და საზოგადო სასარგებლო საქმეში სააქაოს თუ საიქაოს! ამინ."

ამ სიტყვამ, ნამდვილის გრძნობით ნათქვამმა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა როგორც თვითონ შარიფ-ბეგზე, აგრეთვე სხვებზე იქ დამსწრეებზედა...

ვინმე მესხი

ახალციხე, 7 მაისს.

ბული, რომ ყველა მიტრებზე დაგვეთვალა ძვირფასი ქვებით.

ივ. ბერძენოვმა თქვა, რომ იმ მონასტერში სამი მიტრა არისო და კამისიამ კი მხოლოთ ერთი დახედაო.

ოლქის სასამართლომ ივ. ბერძენოვი აღიარა ტყუილ ცილის-წამებაში დამნაშვეედ და ოთხი თვით ციხეში ჩასმა გადაუწყვიტა.

---

# განცხადებანი

## თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

# საადგილ-მამულო ბანკისაგან

**თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა,** უმაღლესად დამტკიცებულის წესდების მე-16 მუხლის საფუძვლით, აცხადებს, რომ ამ 1878 წლის 22 ივნისს შუადღიდამ თფილისში, ბანკის სადგომში, (სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ყორღანოვის სახლებში) მოხდება საქვეყნოთ ვაჭრობა მხოლოთ ერთხელ იმ ქვემო-მოყვანილ პირთა უძრავი მამულიების გასასყიდლათ, რომელთაც, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მუხლების თანხმად, არ შემოიტანეს აღნიშნულ ვადაზე ბანკიდგან აღებულის ფულის სარგებელი:

**ს უ ლ ხ ა ნ ო ვ ე ბ ი ს,** გაბრიელისა და მიხეილის იესეს ძეთ მამული: ოთხი დუქანი მიშენებული ოთახებით და ყოველ კუთვნილებით, ეზოთი და მიწით, სულ 36 ოთხ-კუთხი საქენი. ქ. თფილისში, მეორე განყოფილების მე-14 უჩასტკაში.

მამულის ვალი არის—5,281 მ. შემოსატანი აქვს კიდევ—342 მან. 18კ. სულ—5,623 მან. და 18 კაპ.

**ბ უ რ დ უ ლ ო ვ ი ს,** ალექსანდრე სოლომანის ძის, ორი დუქანი, თავის ბაკით, შენობით და ყველა კუთვნილებით, ეზოთი და მიწით, სულ 600 ოთხ-კუთხი საქენი. ქ. თფილისში, მეორე განყოფილების მე-11 უჩასტკაში.

ვალი 2,880 მან. და 55 კაპ., შემოსატანი აქვს კიდევ—183 მან. და 68 კაპ. სულ—3,064 მან. და 23 კაპ.

**ს უ ლ ხ ა ნ ო ვ ი ს ა,** მარიამ ივანეს ასული: ა) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-ეტაჟიანი და თერთმეტი თითო ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები. ქ. თფილისში, ა) პირველ განყოფირების მე-7 უჩასტკაში და ბ) მეორე განყოფილების მე-14 უჩასტკაში.

კაპიტალური ვალი მამულისა არის—17,283 მან. და 27 კაპ., შემოსატანი მართებს—973 მან. და 25 კაპ. სულ 18, 256 მან. 52 კაპ.

**ჭ ი ქ ი ნ ა ძ ი ს,** იგნატი ნიკოლოზის ძის: ხუთი ერთ-ეტაჟიანი სახლები, მიწით, სულ 115 ოთხ-კუთხი საქენი. ქ. თფილისში, პირველის განყოფილების 1 უჩასტკაში, მთაწმინდაზე.

ვალი აქვს—677 მან. 48 კაპ., შესატანი 67 მან. 42 კაპ. სულ 739 მან. 55 კაპ.

**ვ ა ე ლ ი ე ვ ი ს,** იაკობ სვიმონის ძის: ორ-ეტაჟიანი ქვითქირის სახლი სარდაფით და ორ-ეტაჟიანი კიდევ სხვა სახლი სარდაფითვე, ადგილი 72 ოთხ-კუთხი საქენია. ქ. ის თფილისში, პირველ განყოფილების მე-5 უჩასტკაში, ნემეცების ქუჩაზე.

ვალი აქვს—5,811 მან. და 74 კაპ. შესატანი კიდევ—338 მან. და 10 კაპ., სულ—6,149 მან. და 84 კაპ.

**ტ ე რ-ზ ა ხ ა რ ო ვ ი ს ა,** მაია პონიას ასული: ერთ-ეტაჟიანი ქვითკ. სახლი და ადგილი 18 ოთხ-კუთხი საქენი. თფილისში მეორე განყოფ. მე-13 უჩასტკაში. ეჩმიაძინის ქუჩაზე.

ვალი აქვს—195 მან. 37 კაპ. შესატანი 35 მან. 18 კაპ., სულ—230 მან. 55 კაპ.

**ბ ა ბ ო ვ ი ს,** სარქის მარტიროზის ძის: ერთ-ეტაჟ. ქვითკირის სახლი და ადგილი 30 ოთხ-კუთხი საქ. თფილისში, მეორე განყოფ. მე-13 უჩასტკაში.

ვალი—293 მან. და 5 კაპ., შესატანი კიდევ 30 მან. 34 კაპ., სულ 323 მ. 39 კაპ.

**ბ ა რ ა თ ო ვ ე ბ ი ს,** თ. იოსების და გიორგის ივანეს ძეთა და კ-ნა მარიამ ივანეს ასულის: მამული 536 დესიატინა და 1920 ოთხ-კუთხი საქენი. თფილისის უეზდში, სოფ. ყომარლოში (პატარა რატევანი).

კაპიტალური ვალი—5,975 მან. 87 კ. შესატანი—262 მან. 48 კაპ., სულ 6,239 მან. 35 კაპ.

**თ ა რ ხ ა ნ-მ ო უ რ ა ვ ი ს ა,** კ-ნა მარიამ ბიძინას ასულის: მამული 545 დესიატინა და 1645 ოთხ-კუთხი საქ. გორის უეზდში, სათუხარლოში.

ვალი—6,674 მან. 10 კაპ., შესატანი მართებს—291 მან. 23 კაპ., სულ 6,965 მან. 33 კაპ.

**ფ ი რ ა დ ო ვ ი ს,** მიხაილ არტემის ძის: ბაღი ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლით, მიწით, წყაროთი და სხვა კუთვნილებით; ბაღი შეიცავს სიგრძით 135 საქენს და სიგანით 80 საქენს, სახლსა და ეზოს უჭირავს 250 ოთხ-კუთხი საქენი მიწა. თფილისის უეზდში, სოფ. თბისს.

ვალი—400 მან., შესატანი 26 მან. 10 კაპ., სულ 426 მან. და 10 კაპ.

**ს ტ ე ფ ა ნ ო ვ ი ს,** გეურქ პავლეს ძის: ცარიელი მიწა 300 ოთხ-კუთხი საქენი. თფილისში, მეორე განყოფ. მე-11 უჩასტკაში, ავჭალის ქუჩაზე.

ვალი—1,200 მან., შესატანი 66 მან. 88 კაპ., სულ—1266 მან. და 88 კაპ.

**ა ი ვ ი ზ ო ვ ი ს,** არტემ თადეოზის ძის: ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ერთეტაჟიანი ქვითკირისვე ფლიგელით, ადგილი სახლთან 413 ოთხ-კუთხი საქენი და ფლიგელთან—51 ოთხ-კუთხი საქენი.

ვალი—2,000 მან., შესატანი—76 მან. 70 კაპ., სულ 2,076 მან. 70 კაპ.

**ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ი ს** მინადორა ზურაბის ასულის: მამული 25 დესიატი და 600 ოთხ-კუთხი საქენი გორის უეზდში, სოფლებში ზექარში, ცაცხვნარში, ოძისში და ზინდისში.

ვალი აქვს: 500 მან., შესატანი კიდევ 37 მან. 20 კაპ., სულ—537 მან. 20 მინ.

**ა ნ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი ს,** თ. ზაქარია იესეს ძის: მიწა 15,000 დესიატინა, თფილისის უეზდში, სოფელს ლომბალოში.

კაპიტალური ვალი—59,768 მან. და 18 კაპ., შესატანი აქვს კიდევ სარგებელი 2,063 მან. 7 კაპ., სულ—61,831 მან. და 25 კაპ.

(3—1)

---

## ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში

ქუთაისში—ისყიდება

ქართული წიგნი

# „სამზარეულო“

შედგენილი

ქ-ნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.

**ფასი ათი შაური.**

(3—2)

---

**15 მაისს, ორშაბათს,**

თფილისის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

**„ძალად ცოლის-შერთვევინება**

კომედია მოლიერისა

და

**„ტივით მოგზაურობა“**

ვოდევილი ანტონოვისა

ბილეთების ყიდვა შეიძლება თეატრის კასსირს უ. პეტროვსკისთან და წარმოდგენის დღეს თეატრის კასსაში.

შემოსავალი ამ წარმოდგენისა დანიშნულია ორი ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილისათვის.

(3—3)

---

**ქუთაისში**

**ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:**

1) **დედა ენა,** ი გოგებაშვილისა, ფასი 45

2) **ანუკა ბატონიშვილი,** ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ

3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.

4) **ვეფხვის ტყაოსანი,** შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.

5) **მეფე ლირი,** დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Мая 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.